ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 ნოემბერი, შაბათი, 1988 წ.
№ 213 (9880) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ოლიმპიელების საპატივცემოდ

გუშინ, 4 ნოემბერს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოაწყვეს მიღება საბჭოთა სპორტსმენების — სეულის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა საპატივცემოდ.

მიღებას ესწრებოდნენ მ.ს. გორბაჩოვი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ვ. ა. მედვედევი, ა. პ. ბირიუკოვა.

შეხვედრა გახსნა მ. ს. გორბაჩოვმა.

ვრცელი ტექსტი „ლელოს" შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება.



## ფეხბურთი გზამკვლევი

**ბორის პაიჭაძე** — ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი თბილისის საპატიო მოქალაქეა! ეს ცნობა სიხარულით და სიამაყის გრძნობით აღიქვა მთელმა რესპუბლიკამ. ალბათ სიმბოლურიცაა, რომ ბორის პაიჭაძე პირველი სპორტსმენია, რომელიც დედაქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. როგორც ფეხბურთში, იგი აქაც გზამკვლევად მოგვევლინა.

საქართველოს სპორტსახკომში კოლეგიის წევრებმა შეხვედრა მოუწყეს სახელოვან ფეხბურთელს. შეხვედრაზე ითქვა, რომ ბორის პაიჭაძემ, როგორც სპორტსმენმა და პიროვნებამ ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, ამის დადასტურებაა თბილისის საპატიო მოქალაქედ მისი არჩევა, რითაც ქართული სპორტისადმი საერთო ყურადღებაც გამოხატა.

— თქვენ ყოველმხრივ სამაგალითო პიროვნება ბრძანდებით ახალგაზრდობისთვის, შთამომავლობა მუდამ იამაყებს თქვენით, ფეხბურთელებს არასოდეს დაგვავიწყდება ფქვენი თანადგომა და თბილი სიტყვები — მიმართა ბორის პაიჭაძეს ფეხბურთში პირველმა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გელა კეტაშვილმა. შემდეგ კეტაშვილმა და სსრ კავშირის ჩემპიონმა ჭაბუკთა შორის, თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელმა გიორგი გულიაშვილმა ნაბდით შემოსეს თბილისის საპატიო მოქალაქე.

ბ. პაიჭაძემ მადლობა გადაიხადა ასეთი ყურადღებისა და საზოგადოებრიობის მიერ მისი ღვაწლის დიდი დაფასებისათვის.

## დღეს დიდი მარათონია

ამ ღონისძიებისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ სპორტული საზოგადოებები, უწყებები და ორგანიზაციები. დღეს, როგორც ადრე ვიუწყებოდით, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე (თემქის დასახლების მხრიდან) ჩატარდება შეჯიბრება მარათონულ რბენაში (42 კილომეტრი და 195 მეტრი), იქვე გათამაშდება რესპუბლიკური პირველობა 10 და 20 კილომეტრზე რბენაში. შეჯიბრება დაიწყება 12 საათზე.

**მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის**

## მეთექვსმეტე პარტია

**ნ. იოსელიანი — მ. ჩიბურდანიძე**

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 კe6 10. d4 კ: b3 11. ლ:b3 ლb8 12. მbd2 ლb6 13. d5 მa5 14. ლc2 c6 15. b4 მb7 16. dc ლ:c6 17. კb2 ეfc8 18. ლd3 მd7 19. მf1 მb6 20. მe3 კf8 21. მd5 მa4 22. ეb1 ლc4 23. ლ:c4 ე:c4 24. კa1 f6 25. მd2 ეc6 26. ეe3 ეac8 27. ეc1 მფf7 28. ეf3 კe7 29. c4 მd8 30. მc3 მ:c3 31. ეf:c3 მe6 32. მფf1 კd8 33. a4 ba 34. ეa3 g6 35. ე:a4 f5 36. ef gf 37. კc3 კg5 38. ეca1 მc7 39. მf3 კf6 40. c5 მb5 41. კb2 e4.

ამ პოზიციაში პარტია გადაიდო, მაგრამ იმ დღესვე მეტოქენი დაზავდნენ.

მაშ ასე, დამთავრდა მატჩი მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის. ეს შეხვედრა, რომელიც თვენახევრის განმავლობაში ჭადრაკის გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში იყო, მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ვინ მსოფლიო ჩემპიონს გულშემატკივრობდა, ვინ პრეტენდენტს.

მაია ჩიბურდანიძემ გაიმეორა ჩვენი სასიქადულო მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილს წარმატება — მეხუთედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. რაც შეეხება ნანა იოსელიანს, მან ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიო ჩემპიონს.

ერთი სიტყვით, ეს მატჩი ოქროს ასოებით ჩაიწერება მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში. ალბათ ჭადრაკის სპეციალისტები და გულშემატკივრები კიდევ არაერთხელ მიუბრუნდებიან ამ მეტად საინტერესო ორთაბრძოლას. ახლა კი, ბოლოს, მე-16 პარტიას დავუბრუნდეთ. მეტოქეებმა უკვე მრავალჯერ ნაცადი ძველი დებიუტი, ესპანური პარტია გაითამაშეს. მატჩის ფრედ (8:8) დასამთავრებლად თეთრებით მოთამაშე ნანა იოსელიანს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს და ამიტომაც იყო, რომ დებიუტშივე შეეცადა უპირატესობის მიღებას.

მე-11 სვლაზე ჩიბურდანიძემ ახალი გაგრძელება აირჩია (11. ..ლb8) და შემდგომი ზუსტი თამაშით შეძლო პოზიციის გათანაბრება. მალე ლაზიერები გაიცვალა და დაფაზე სრულიად თანაბარი პოზიცია შეიქმნა. საბოლოოდ პარტია გადაიდო და სპეციალისტების აზრით, იგი ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. ასეც მოხდა — პარტიის გადადებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა. დამთავრდა იგი მაია ჩიბურდანიძის გამარჯვებით 8,5:7,5.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ მაიას ამ გამარჯვებას.

**„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.**

თელავი.



**საკავშირო** და საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებული არაერთი გუნდი და სპორტსმენი შინ დაბრუნების შემდეგ გულშემატკივრების წინაშე წამდგარან ჩვენს მთავარ სპორტულ არენაზე — „დინამოს" სტადიონზე. ასეთია ტრადიცია. გუშინწინ, ფეხბურთში მოსკოვის ტორპედოელებთან თბილისელ დინამოელთა მატჩის ტაიმებს შორის შესვენებისას, მაყურებელს გაეცნო თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელმაც ამ დღეებში ლიპეცკში სსრ კავშირის თასი მოიპოვა. გამარჯვებულებს იქვე გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

ს უ რ ა თ ზ ე: გამარჯვებული ფალავნები „დინამოს" სტადიონზე.

ზურაბ გენგიურის ფოტო.

## მომთხოვნელობის პრინციპით

**ფიზკულტურულ**-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესება დღეს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. 2 ნოემბერს გაიმართა ამ საკითხზე მომუშავე მუდმივმოქმედი ჯგუფის სხდომა. განიხილეს „მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშათა პროფკავშირების სისტემის წარმოება-დაწესებულებებში ფიზკულტურულ მასობრივი და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი". მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია „ბავშვთა და მოზარდთა კლუბების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ამ მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს მიერ გამოყოფილი საშტატო ერთეულების გამოყენების მდგომარეობის შესახებ".

სხდომაზე მიღწეულთან ერთად დაუფარავად აღნიშნეს ნაკლოვანებები, რაზედაც მკაცრად მოსთხოვეს პასუხი დარგობრივი პროფკავშირების ხელმძღვანელებს. დაისახა ქმედითი ღონისძიებები, რომელთა შესრულება გადამოწმდება.

სხდომის შედეგები შეაჯამა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა ვიქტორია სირაძემ.

## ახალგაზრდა საკავშირო ნაკრებში

**ფრუნზეში** დამთავრდა უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლების საკავშირო შეჯიბრება ადგილიდან სასტენდო სროლაში. 1968 წელს დაბადებულთა და უფრო ახალგაზრდა მოასპარეზეთა შორის წარმატებით გამოვიდა **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** ეკონომიკური ფაკულტეტის 1 კურსის სტუდენტი გიგა ქიშმარეიშვილი („დინამო", მწვრთნელი ზ. მაჩხანელი), რომელმაც 210 ქულა დააგროვა 225-დან და მესამე ადგილი დაიკავა.

დაკომპლექტდა საკავშირო ნაკრები, სადაც გ. ქიშმარეიშვილიცაა შეყვანილი.

## ხუთი პრიზიორი

**გორში** გაიმართა ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ დურმიშხან ბერუაშვილის ხსოვნას. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქის 16 გუნდი, მათ შორის თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპორტსკოლის (დირექტორი ა. გიორგობიანი) გუნდი, რომლის ორმა წევრმა (მამუკა კელაპტრიშვილმა, გიორგი ოძელაშვილმა) პირველი, ერთმა (ალექსანდრე ღვინიაშვილი) — მეორე და ორმა (ზვიად დემეტრაშვილი, ვასილ ქვრივიშვილი) მესამე ადგილები დაიკავეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზვიად გოჩიაშვილი (ზესტაფონი), გია ვაზაგაშვილი (გორი), მამუკა კელაპტრიშვილი (თბილისი), გია კავსაძე, გოჩა ერისთავი (ორივე — გორი), გიორგი ოძელაშვილი (თბილისი), მალხაზ ზაკუტაშვილი (ქარელი), კახა გუჯეჯიანი (მარნეული) და ჯამბულატ მაგატოვი (ორჯონიკიძე).

## ვეტერანის პრიზზე

**ოქტომბრის** მიწურულს ერევანში ჩატარდა ჭაბუკთა დიდი საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის დამსახურებული ოსტატისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. ნაზარიანის პრიზზე. საქართველოდან ამ პრესტიჟულ ტურნირში ასპარეზობდნენ: თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპორტსკოლის (დირექტორი ა. გიორგობიანი), თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპორტსკოლის (დირექტორი რ. დობორჯგინიძე) და რუსთავის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

საქართველოს ათლეტებმა ამ ტურნირში ოთხი პირველი, ხუთი მეორე და სამი მესამე ადგილი დაიკავეს. ჩემპიონები გახდნენ: 38 კგ-ში — ემზარ ბელენეიშვილი, 75 კგ.-ში — დათო ლაზრიშვილი (ორივე — განათლების სამმართველოს სპორტსკოლა), 82 კგ.-ში — თამაზ კენჭოშვილი და მძიმეში — შოთა გელაშვილი (ორივე — რუსთავი).

მეორე ადგილები ხვდათ თამაზ გელაშვილს, პავლე კამლაძეს (ორივე — რუსთავი), მიხეილ ფრიდონაშვილს, კახა ღაჭავას (ორივე — განათლების სამმართველოს სპორტსკოლა) და ასლან ხმალაძეს (თბილისის სპორტსკოლა), მესამე ადგილებზე გავიდნენ: გოჩა პაპაშვილი, გიგა ხიზამბარელი (ორივე — თბილისის სპორტსკოლა) და ვახტანგ ჭიპაშვილი (განათლების სამმართველოს სპორტსკოლა).

**ტელეტაიპი — მკითხველი**

**ხიროსიმა.** საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დაამარცხა სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი არგენტინის გუნდი (15:10, 15:11, 15:13) და იაპონიის თასის გათამაშების ფინალში გავიდა, სადაც უნდა შეხვედროდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს აშშ-ს ნაკრებს (მეორე ნახევარფინალში ამერიკელებმა იაპონელები დაამარცხეს — 15:7, 15:6, 15:8). შედგა ფინალური მატჩიც, რომელიც საბჭოთა ფრენბურთელებმა მოიგეს — 3:2 (11:15, 15:7, 10:15, 15:12, 15:12).

**გოტვილდოვი.** ჩვენი ქვეყნის ჰოკეისტებმა მესამე შეხვედრაც წააგეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 1:4. შეგახსენებთ, რომ პირველი ორთაბრძოლა მასპინძლებმა მოიგეს 5:3, მეორე კი სტუმრებმა — 3:1.

**ტოკიო.** დღეს იაპონიის დედაქალაქში დაიწყება ფრენბურთელ ქალთა თასის გათამაშება. შეჯიბრებაში ადგილობრივი სპორტსმენების გარდა მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, პერუსა და კუბის გუნდები.

**მადრიდი.** „საბჭოთა ტანვარჯიშის ვარსკვლავთა დიდი ფიესტა"— ასე უწოდეს საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლას მადრიდის გაზეთებმა. შეკრებილთა დიდი მოწონება დაიმსახურეს ელენე შუშუნოვას, სვეტლანა ბოგინსკაიას, მარინა ლობაჩის, ალექსანდრე ტიმოშენკოს, ვლადიმერ არტიომოვის, დიმიტრი ბილოზერჩევისა და ვალერი ლიუკინის გამოსვლებმა.

**ლოზანა.** საგამოფენო კომპლექს „პალე ბოლიეში" გაიხსნა საერთაშორისო სპორტული ასოციაციების გენერალური ასამბლეა და 22-ე კონგრესი თემაზე — „სპორტი და მედიცინა". 72 ფედერაციის წარმომადგენლები შეიმუშავებენ დოპინგისა და სპორტსმენთა შორის შიდსი-ს გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციებს.

# შრომა დაუფასდათ

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში ფიზიკური კულტურის საგნის სწავლებისა და კლასგარეშე სპორტულ გამაჯანსაღებელ მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა ფიზიკური კულტურის ათი საუკეთესო მასწავლებელი:

1. ჯანგირაშვილი ვაჟა არჩენის ძე — ქ. თბილისის №1 ექსპერიმენტალური საშუალო სკოლა;

2. პერტია ზურაბ რევაზის ძე — ზუგდიდის რაიონის სკოლა-ინტერნატი;

3. მჭედლიშვილი ვასილ კონსტანტინეს ძე — გარდაბნის რაიონის სოფელ ვარკეთილის საშუალო სკოლა;

4. ხარაიშვილი ჰიჰიკო გიორგის ძე — ხაშურის რაიონის სურამის №2 საშუალო სკოლა;

5. გულედანი რევაზ არტემის ძე — ამბროლაურის რაიონის №2 საშუალო სკოლა;

6. ხუპატაშვილი ლევან გიგლას ძე — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხის საშუალო სკოლა;

7. ბურდულაძე მანგერ ამბაკოს ძე — ონის №2 საშუალო სკოლა;

8. ჩიტაური იოსებ ალექსანდრეს ძე — დუშეთის რაიონის სოფელ ჭართალის საშუალო სკოლა;

9. ჰანტურია გიორგი პორფილეს ძე — ცხაკაიას რაიონის სკოლა-ინტერნატი;

10. ვაშაკიძე ვერა ნიკოლოზის ასული — ხობის რაიონის სოფელ ხაბისკურის საშუალო სკოლა.

# ქარელი, კასპი, ქუთაისი

**ქართულ** ჭიდაობაში რესპუბლიკის გუნდური პირველობის ფინალში, რომელსაც კასპი მასპინძლობდა, თავი მოიყარეს ზონალურ შეჯიბრებებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა. ზოგმა რაიონმა კარგად მომზადებული ფალავნები გამოიყვანა (ქარელი, ქუთაისი, ჭიათურა), ზოგს კი ტურნირში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა (თელავი, საგარეჯო, ზუგდიდი).

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქარელისა და კასპის მოჭიდავეთა შეხვედრას. ბრძოლა ქარელელმა ფალავნებმა მოიგეს და პირველი ადგილიც მათ დარჩათ. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ქუთაისელებმა თბილისის გუნდი დაამარცხეს.

გამარჯვებული კოლექტივის ღირსებას წონითი კატეგორიების მიხედვით იცავდნენ: ზ. გულიაშვილი, ზ. იმერლიშვილი, ბ. ბეკოევი, ზ. ყეინაშვილი, დ. თურმანიძე, გიორგი ბერუაშვილი, ბ. ქოქოევი და გელა ბერუაშვილი (78 კგ წონაში ქარელს მონაწილე არ გამოუყვანია).

**სიმონ მაისურაძე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 4 გამარჯვებული—4 დინამოელი

**მოსკოვის,** მინსკის, ერევნის, კალინინგრადის, თბილისის, სოხუმის 64 ახალგაზრდა ჩოგბურთელი გამოდიოდა ამას წინათ ჩვენს ქალაქში დამთავრებულ ტრადიციულ ტურნირში სსრ კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის სახელობის პრიზზე. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში ტარდებოდა: 1973-1974 და 1975-1976 წლებში დაბადებულთა შორის.

უფროს ასაკში გოგონათა ტურნირში საუკეთესო იყო 58-ე სკოლის მეათეკლასელი ირმა კულდონაშვილი (მწვრთნელი გ. სენჩუროვი), რომელმაც დამაჯერებლად მოუგო თავის მთავარ მეტოქეებს — საქართველოს გოგონათა ნაკრების წევრებს რუსუდან მძინარიშვილს, თეა მუჩაიძეს. წარმატებას მიაღწია ამავე სკოლის მეცხრეკლასელმა ბექა ძაგანიამ (მწვრთნელი ა. ივანოვა), რომელიც უძლიერესი იყო 32 ჭაბუკს შორის.

საინტერესოდ წარიმართა ორივე ტურნირი უმცროს ასაკშიც. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა აქაც გამოიჩინეს თავი — გაიმარჯვეს 144-ე სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ ანა გასპარიანმა (მწვრთნელი ა. ივანოვა) და 68-ე სკოლის მეექვსეკლასელმა დათო გოგილაშვილმა (მწვრთნელი რ. აბჯანდაძე), რომელმაც მეორედ გაიმარჯვა ამ ტრადიციულ ტურნირში.

აღსანიშნავია, რომ ოთხივე გამარჯვებული „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სკოლის (დირექტორი ი. გოგილაშვილი) წარმომადგენელია.

**სურათებზე:** მარცხნიდან— ი. კულდონაშვილი, ბ. ძაგანია, ა. გასპარიანი, დ. გოგილაშვილი.

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო.

**კორაჩის თასზე**

# მარცხი გათამაშების სტარტზე

**თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 2 ნოემბერი.**

**„დინამო“ (თბილისი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეი) 75:96 (34:52).**

**„დინამო“: რიყოვი (22), ტიუბინი (19), კოლიჩევი (16), დარსაძე (9), შენგელია (8), კროპაჩოვი (1), კაპუსტინი, ვაშაკიძე, ჩერქეზიშვილი.**

**„ოლიმპიაკოსი“: მიდლტონი (32), სკერი (29), აგელუ (11), კაბურისი (8), მანიატისი (6), ხრისტოდულუ (6), პანაიტოპულოსი (4), ელიანიდისი, პარაგაიოსი, პაპადაკოსი.**

**მსაჯები: უ. ჯონსი (ინგლისი), ბ. ზავისლაკი (პოლონეთი).**

**„ოლიმპიაკოსს“** თბილისში ჩამოსვლამდე კორაჩის თასის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველი ზღუდე დაძლეული ჰქონდა. პოლონეთის „გურნიკს“ ქალაქ ვილბჟიხიდან მან ორი დამარცხება აგემა, ერთხელ შინ, თხუთმეტი ქულით, მეორედ სტუმრად უფრო გამანადგურებელი სხვაობით — მთელი ორმოცი ქულით. ეს იყო ერთადერთი ინფორმაცია, რაც დინამოელებს გააჩნდათ მომავალ მეტოქეზე თბილისის მატჩის წინ.



ზურაბ გენგიურის ფოტო.

მოგვიანებით, როცა „ოლიმპიაკოსი“ უკვე გვესტუმრა და კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში პირველი ვარჯიში ჩაატარა, ცნობილი გახდა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში იგი ჯერჯერობით (სამი ტურის შემდეგ) მეორე ადგილზე ყოფილა, რომ გუნდში თამაშობს ქვეყნის ნაკრების წევრი და კონტინენტის ჩემპიონი არპირიოს კაბურისი, მაგრამ ამის მიუხედავად მთავარ ძალას ამერიკელი კალათბურთელები წარმოადგენენ, რომელთაგან ერთი, სახელდობრ, ლარი მიდლტონი (№ 13) ადრე სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის ნაკრებში თამაშობდა, მეორე — კარეუ სკერი (№ 10) კი ნბა-ს ერთ-ერთ პროფესიონალურ კლუბში გამოდიოდა (ატესტაცია ორთავეს, როგორც ხედავთ, ბრწყინვალე, მაგრამ ჩვენთვის დამაფიქრებელი აღმოჩნდა).

გავიგეთ ისიც, რომ „ოლიმპიაკოსს“ არც ისე დიდი ხანია ამერიკელი სპეციალისტი სტივ იანგი ავარჯიშებს (წარსულში ასევე ცნობილი კალათბურთელი) და კოლექტივში, ამის გამო, ნამდვილი პროფესიული კალათბურთის ატმოსფერო სუფევს. ყველაფერმა ამან „დინამოს“ პერსპექტივა, ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე, ერთობ საეჭვო და ულიმღამო გახადა, თუმცა ქვეცნობიერად, სადღაც გულის სიღრმეში, იმედის ნაპერწკალი მაინც ღვიოდა: იმიტომ, რომ შინ ვთამაშობდით, საკუთარ მოედანზე, უზომოდ ერთგული ქომაგების წინაშე.

მაგრამ მატჩის პირველმა წუთებმა, ისევე როგორც შემდგომში მთელმა მსვლელობამ, ამ იმედებს ცივი წყალი გადაასხა და რაღაც უხალისოდ გამოგვაფხიზლა. სხვა გზა არ იყო და თავს გამოვუტყდით, რომ ჩვენი ოპტიმიზმი ნაადრევი ყოფილა. „ოლიმპიაკოსი“, სამწუხაროდ, ისეთი მეტოქე გამოდგა, რომლის დაძლევა დღევანდელი „დინამოს“ ძალებს აშკარად აღემატებოდა.

ამ მატჩის ტელერეპორტაჟი, დარწმუნებული ვართ, მთელმა საქართველომ ნახა. ამიტომ თამაშის დეტალურ გარჩევას აზრი არა აქვს. ჩვენ უბრალოდ შევეცდებით ტექნიკური ოქმის მონაცემების საფუძველზე გამოვყოთ მარცხის საკვანძო მიზეზები, დასკვნის გაკეთება კი უკვე თქვენთვის მოგვინდვია.

ოღონდ ერთში წინასწარ უნდა შევთანხმდეთ: ასეთი რესურსებითა და თამაშით „დინამოს“ წარმატებაზე ფიქრი იმთავითვე მკრეხელობა იქნებოდა, თუმცა ისიც არ უნდა უარვყოთ, რომ ჩვენს გუნდს უკეთაც შეუძლია თამაში და ისეთი უსუსური არ გახლავთ, როგორც ამ დღეს გამოიყურებოდა.

კალათბურთის, როგორც ორთაბრძოლის და სპორტული თამაშის ერთ-ერთი უპირველესი ელემენტი ზუსტი პასი გახლავთ. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. სამწუხაროდ, შეხვედრის პირველ ნახევარში დინამოელებმა უმარტივეს სიტუაციებში, ისე, რომ ხელს არავინ უშლიდათ, შვიდი ასეთი პასი დაკარგეს (ბურთმა პარტნიორამდე ვერ მიაღწია). შვიდი დაკარგული პასი, ფაქტიურად, შვიდი კონტრშეტევაა და თოთხმეტი ნაჩუქარი ქულა (დინამოელებმა მსგავსი შეცდომა მეორე ნახევარში ხუთჯერ დაუშვეს). მაგრამ მთავარი ეს არ არის....

ზუსტი საჯარიმო სროლაც კალათბურთის ისეთი ელემენტია, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, მაღალი ოსტატობის განმსაზღვრელად არც კი გამოდგება. სამწუხაროდ, დინამოელები ამ უმარტივეს სიტუაციებშიც ხშირად სცოდავდნენ. თბილისელთა შორის ყველაზე შედეგიანმა რიყოვმაც კი ექვსი საჯარიმო სროლიდან სამი მიზანს ააცილა. იგივე შეიძლება ითქვას დარსაძეზე, ტიუბინზე და სხვებზე. შედარებისთვის „ოლიმპიაკოსის“ მოთამაშეთა მონაცემებს გადავხედოთ. კაბურისმა ოთხი სროლიდან ოთხივე მიზანს მოახვედრა, მიდლტონმა სამიდან — სამი, ხრისტოდულუმ ორიდან — ორი, სკერიმ ოთხიდან — სამი... მაგრამ მთავარი ესეც არ გახლავთ...

ბოლოდროინდელი „დინამოს“ უპირველესი იარაღი, რომელიც, სამწუხაროდ, მთელ მის თამაშს განსაზღვრავს, სროლებია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამქულიანი სროლის წესი შემოვიდა. სამწუხაროდო, იმიტომ ვამბობთ, რომ თუ სროლების სიზუსტემ გვიმტყუნა (ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე), თამაში ფაქტიურად აღარ გამოგვდის.

ყველაფერ ამას საანგარიშო მატჩში სხვა ტრადიციული მიზეზებიც დაერთო. სუსტი დაცვა, ფარქვეშ უეფექტო ბრძოლა, მანევრირების უკიდურესად დაბალი დონე, ბურთის გაუთავებელი ტარება, რამაც სწრაფი შეტევის პრაქტიკა საბოლოოდ დათრგუნა. ასეთ პირობებში სტაბილურ, საერთაშორისო დონის მეტოქესთან ბრძოლა, ცხადია, ძნელი იყო.

„ოლიმპიაკოსმა“ თამაშის პირველი ნახევარი თვრამეტი ქულით მოიგო, მეორე კი, ამის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ სამით, მაგრამ ამან ილუზია არ უნდა შექმნას იმისა, თითქოს მეორე ტაიმი უკეთ ჩავატარეთ. ბერძნებმა, უბრალოდ, პროფესიონალური კალათბურთის კანონების თანახმად პირეის საპასუხო მატჩის წინ სიმტკიცის საკმარისი მარაგი შესვენებამდე შექმნეს და მერე თავი დიდად არ შეუწუხებიათ. ეს სხვაობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს.

ჩვენი მეტოქის სიძლიერე მნიშვნელოვანწილად ორი ამერიკელის უნიკალურ შესაძლებლობებს ეყრდნობოდა — მათ მაღალ ტექნიკას, უსაზღვრო შრომისუნარიანობასა და პირდაპირ განსაცვიფრებელ ბრძოლისუნარიანობას. მათ ფონზე გუნდის სხვა წევრები და ნაკრების მოთამაშე კაბურისი ბევრი არაფრით გამოირჩეოდნენ. დარწმუნებული ვართ, რომ „ოლიმპიაკოსის“ წმინდა ბერძნულ შემადგენლობასთან თამაშიც შეიძლება და, თქვენ წარმოიდგინეთ, გამარჯვებაც, მაგრამ გუშინდელი მარცხის ფონზე ეს ვერაფერი ნუგეშია.

**ნოდარ ბუზუშვილი.**

## SOS

**სპორტს** თავისი კანონები აქვს, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა პატიოსანი ბრძოლა, მეტოქისა და მაყურებლის დაფასებაა. სხვათა შორის, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, სცემს თუ არა პატივს სპორტსმენი საკუთარ თავს. ერთმა უადგილო ჟესტმა, წამოძახილმა ან მოქმედებამ შეიძლება დიდი ავტორიტეტის სპორტსმენსაც შეულახოს სახელი, დაამციროს გულშემატკივრის თვალში.

პირდაპირ ვიტყვით: რაც ზემოთ მოგახსენეთ, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის კაპიტანსაც ეხება. ვის მოუბრუნდება ენა და იტყვის, რომ გელა დარსაძეს დიდი წვლილი არ მიუძღვის ქართული კალათბურთის წარმატებებში. ყველას ყველაფერი კარგად ახსოვს და ამ სპორტსმენს ხალხი მუდამ სიყვარულით მიაგებს პატივს, მაგრამ, აკი ვთქვით, ვერც გულგრილობას და უდიერებას აპატიებენ თაყვანისმცემლები თავიანთ კერპებს.

გელა დარსაძე ბოლო ხანებში თავისი საქციელით გულს გვტკენს ყველას და, რაც უფრო საგანგაშოა, თანაგუნდელებსაც. კაპიტანს, საერთოდ, ბევრის უფლება აქვს და ბევრისა — არა. სამწუხაროდ, დღეს სწორედ იმაზე გვიხდება საუბარი, რისი უფლებაც მას არა აქვს. არ არის დასამალი, რომ დინამოელთა გუნდში კონფლიქტურ სიტუაციებს ხშირად სწორედ კაპიტანი — გელა დარსაძე ქმნის. თანაგუნდელებისთვის ცნობილია მისი უაზრო კონფლიქტი თუნდაც კაპუსტინთან, ცნობილია დარსაძის დამოკიდებულება ახალგაზრდა მოთამაშეებთან, როცა ახალბედები მხარდაჭერისა და დარიგების ან, ვთქვათ, შეცდომის სულგრძელად მიტევების ნაცვლად, კაპიტნისგან მხოლოდ დატუქსვას და უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინებას ისმენენ. ყველაფერი ეს ფაქტია. თუნდაც ბოლო ხანებში თბილისში გამართული თამაშები გავიხსენოთ. გავიხსენოთ ის შემთხვევა, როცა დარსაძემ მოედანზე, საჯაროდ, უწმაწური სიტყვებით, უტაქტოდ მიმართა თანაგუნდელ ყმაწვილებს — ჯერ თორთლაძეს, შემდეგ ვაშაკიძეს. ამას ჰქვია ახალბედებისადმი უფროსების დამოკიდებულება და თანადგომა? ასე გუნდში თაობათა ცვლის პროცესი სასურველ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს.

ბარემ აქვე ვთქვათ: იმის გამო, რომ ბავშვთა კალათბურთში ჩვენში დიდხანს სრული განუკითხაობა სუფევდა, რესპუბლიკაში დღემდე არ ჩანან პერსპექტიული მოზარდები. ამ რამდენიმე წლის წინ საქმეს ხელი მოჰკიდეს ენთუზიასტმა მწვრთნელებმა, ამოქმედდა სისტემა და შედეგებსაც ვხედავთ. მაგრამ, ვიდრე დაფრთიანებული მართვეები მთავარ გუნდში ფეხს მოიმაგრებდნენ, „დინამოს“ ხომ უნდა ეზრუნა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე. ამით იყო ნაკარნახევი გუნდში დროებითი კრიზისის დასაძლევად კალათბურთელების სხვა რესპუბლიკებიდან მოწვევა. მადლობის მეტი რა გვეთქმის იმ ბიჭების მიმართ. ისინი ახლაც თავს არ ზოგავენ, ის კი არა, გვეჩვენება, რომ სხვა თანაგუნდელებზე მეტი თავგამოდებითაც იბრძვიან ყველა მატჩში.

განა ეპატიება იმავე დარსაძეს, გუნდის კაპიტანს, რომ ბერძნებთან მატჩის დღეს დილით არ მივიდა საწვრთნელ ბაზაზე და მხოლოდ თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე გამოჩნდა გუნდში? არც ის ეკადრება კაპიტანს, თამაშში ხელმოცარული, საკუთარ თავზე კი არა, სხვებზე გაგულისებული რომ ჯდება თანაგუნდელთა სკამზე. უფრო ადრე გამართულ მატჩში, კი შეცვლისას კაპიტანმა ირონიული ქირქილით დატოვა მოედანი. ამას ხედავენ და ამჩნევენ, გულისტკივილით აღიქვამენ გულშემატკივრები. მათაც ხომ უნდა ვცეთ პატივი.

გაოცებას იწვევს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ და სპორტსახკომის შესაბამისი განყოფილებების პოზიცია. გუნდში შექმნილი ატმოსფერო საფუძვლიან ანალიზს და დასკვნების გამოტანას მოითხოვს. დახანება ნამდვილად აღარ შეიძლება, გუნდში ახალგაზრდა თაობა მოდის, რა მაგალითს ვაძლევთ?

### პირველი შეხვედრები

გაიმართა ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირების პირველი წრის მატჩები.

**კორაჩის თასი.** „სტროიტელი“ (კიევი) — „შარლოტენბურგი“ (გფრ) 106:93 (50:53).

„გალათასარაი“ (თურქეთი) — „სარაგოსა“ (ესპანეთი) 68:72 (37:37).

„ტოფასი“ (თურქეთი) — „კანტუ“ (იტალია) 87:84 (37:45).

„ოლიმპია“ (იუგოსლავია) — „ესტუდიანტესი“ (ესპანეთი) 96:70 (44:27).

„სპარტაკი“ (ბულგარეთი) — „ორტეზი“ (საფრანგეთი) 95:106.

„ლევსკი-სპარტაკი“ (ბულგარეთი) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია) 96:90 (40:56).

„ინტერი“ (ჩეხოსლოვაკია) — „აპოელ ტელ-ავივი“ (ისრაელი) 80:91 (41:50).

„ტიროპანი“ (ფინეთი) — „მილანი“ (იტალია) 88:90 (46:56).

„ტტლ ბამბერგი“ (გფრ) — „ხუვენტუდი“ (ესპანეთი) 73:94 (35:45).

„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „ვარეზე“ (იტალია) 79:76 (44:36).

პაოკ (საბერძნეთი) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) 95:85 (41:48).

„ზადარი“ (იუგოსლავია) — „ეფესი“ (თურქეთი) 123:84 (50:36).

**ჩემპიონთა თასი.** „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია) — „სატურნი“ (გფრ) 90:87 (41:52).

**ჩემპიონთა თასი.** „ბალკანი“ (ბულგარეთი) — ცსკა (მოსკოვი) 80:103 (43:51).

„ოსტენდე“ (ბელგია) — „მაკაბი ტელ-ავივი“ (ისრაელი) 91:104 (42:51).

„ოვარენსე“ (პორტუგალია) — „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია) 87:94.

„სედეტერლიე“ (შვეცია) — „არისი“ (საბერძნეთი) 93:85 (54:45).

„კოტკანი“ (ფინეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 78:87 (43:46).

„ზბროიოვკა“ (ჩეხოსლოვაკია) — „ლიმოჟი“ (საფრანგეთი) 87:111 (37:57).

„პარტიზანი“ (ალბანეთი) — „სკავოლინი“ (იტალია) 72:84 (36:45).

„ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია) — „სატურნი“ (გფრ) 90:87 (41:52).

# ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება



სეული. 17 სექტემბერი — 2 ოქტომბერი, 1988 წ.




გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: ყველაზე ძლიერი სპორტული სახელმწიფოს წარმომადგენლები სეულში არა მარტო ყველაზე მცირე რაოდენობით ვიყავით წარმოდგენილი, არამედ თანამედროვე დამხმარე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილობის მხრივაც ყველაზე ღარიბულად გამოვიყურებოდით. არ გვქონდა რეპორტიორის მინიატიური მაგნიტოფონებიც კი, აღარაფერს ვამბობთ კომპიუტერულ ხელით სატარებელ საბეჭდ მანქანაზე, რომელიც რამდენიმე ოპერაციას ასრულებს და მრავალ ინფორმაციას იტევს, აღარაფერს ვამბობთ ვიდეოკამერებზე, პირდაპირ გვშურდა უცხოელი კოლეგებისა რეპორტაჟების მომზადებისას ვიდეოკამერის დახმარებით რომ აცოცხლებდნენ ოლიმპიური ასპარეზობის პერიპეტიებს. ჩვენ?

ჩვენ მამაპაპურად ბლოკნოტ-კალმისტრით „შეიარაღებულნი" დავდიოდით ბაზებზე, პრესკონფერენციებზე. რა გვექნა? ჟურნალისტს რაც გჭირდება, იმას ვერ იშოვი, თუ სადმე წააწყდები, ან ვალუტაზე იყიდება, ან მამასისხლად ჩვენებურ ფულზე (მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე).

თუმცა ვიცოდით არაფერი გამოვიდოდა, ბედი მაინც ვცადეთ, ის არ ვთხოვეთ ვიდეოკამერა. მართალია, საქართველოს ტელევიზიამ გულწრფელად მოიწადინა ჩვენთვის გაემართა ხელი, მაგრამ... ორიდან მხოლოდ ერთი კამერა აღმოჩნდა ვარგისი, ის ერთი კი, აბა რა სინდისით უნდა წაგველო.

არავისი არაფერი გვშურს, ღმერთმა ყველას ზევრი მისცეს და ხელი მოუმართოს, მაგრამ როგორ არ ვთქვათ, რამდენი ვიდეოკამერაა ოჯახებში ნაღდ ფულზე შეძენილი, რედაქციებს კი იმის ნებაც არა აქვთ, გადარიცხვით შეიძინონ მათთვის ესოდენ საჭირო და აუცილებელი ტექნიკა. ასე დავუკარგეთ შთამომავლობას ჩვენი ახლანდელი ოლიმპიური წარმატებების ამსახველი ცოცხალი კადრები. ვერასოდეს ვიხილავთ ნინო სალუქვაძის ფენომენალურ წარმატებას, დავით გობეჯიშვილის რაინდულ სვლას ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ, გელა კეტაშვილის სიხარულს, ვლადიმერ აფციაურისა და ვლადიმერ გოგოლაძის ნამდვილ თავდადებას გუნდისთვის, სპორტულ სარბიელზე პრიზიორების თავგადასავლებს, თუნდაც იმათ განცდებს, ვინც უმედლოდ დარჩა. დავკარგეთ ოლიმპიადის მატიანე, თამაშების ცოცხალი გაკვეთილი. ადრეც ბევრი დავკარგეთ, დღეს არ გაგვაჩნია არც ოლიმპიელების, არც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონების აღზევების ამსახველი ცოცხალი კადრები. მაგრამ ადრე სხვა იყო, არც ტექნიკა იდგა ამ დონეზე და არც გასაჭირისადმი დამოკიდებულება იყო ასეთი.







მაგრამ დღეს, დღეს რა გვემართება?... გარდა იმ მედლებისა, ამაზე მეტი საჩუქარი რა უნდა ჩამოგვეტანა ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის, იმათთვის, ვინც ქვეყნისა და ერის სახელის სადიდებლად ქართველ ოლიმპიელთა კვალში დგას და ჩადგება.

ახლა გვინდა კიდევ ერთ ქართველ ოლიმპიელზე — გურამ გედეხაურზე გიამბოთ. დიახ, შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, ტელევიზიის საშუალებით უკვე აქ, საქართველოშიც ყველა იხილავდა, როგორ უგებდა გურამ გედეხაური ძლიერ მეტოქეებს და როგორ მარცხდებოდა შედარებით სუსტებთან. ერთი სიტყვით, კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ოლიმპიურ ტურნირში თითქოს ყველანაირი საოცრება განგებ მოხდა, რომ ახალგაზრდა ქართველ ფალავანს ოლიმპიური კვარცხლბეკის საფეხურზე არ შეედგა ფეხი.

გურამ გედეხაური ისევე თამამად მოვიდა ჭიდაობის სამყაროში, როგორც თავის დროზე მისი სახელოვანი წინაპრები. ალღოიანმა მწვრთნელებმა ამ ბიჭში დიდი მომავლის ფალავანი ამოიცნეს და თითქმის ყველგან და ყოველთვის მართლდებოდა სპეციალისტების იმედები. იმათ შორის, ვისი კანდიდატურებიც ქვეყნის ნაკრებ გუნდებში არავითარ ეჭვს არ იწვევდა, ერთ-ერთი გედეხაური იყო. მეტიც, თუ ვინმეს ოქროს მედალს უგეგმავდნენ, მათ შორის ამ ფალავანსაც. სპორტში ბევრი მოულოდნელობა იჩენს ხოლმე თავს, ისეთიც. ალოგიკურობით გაოცებას რომ იწვევს და ახსნას ვერ მოუძებნი. თავად განსაჯეთ: გედეხაური სეულის ოლიმპიურ ხალიჩაზე გზიდან იშორებს ფალავნებს, რომლებიც საბოლოოდ კვარცხლბეკზე ადიან, თავად კი უმედლოდ რჩება. თავიდან ყველაფერი დაიწყო მოულოდნელი მარცხით — გედეხაურმა წააგო შეხვედრა რუმინელ ვასილე ანდრეისთან. მეორე წრეში გედეხაური ისვენებდა, მესამე წრეში კი მაღალოსტატურად, წმინდად მოუგო პოლონელ ანჯეი ვრონსკის. ეს ის ვრონსკი გახლავთ, რომელიც ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა და პოლონეთის დელეგაციის მიერ ამ თამაშებში მოპოვებული ორი ოქროს მედლიდან ერთი მისი იყო, მეოთხე წრეში ქართველი ფალავანი ქულებით უგებს ამერიკელ დენის კოზლოვსკის (ეს ფალავანი ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა), მაგრამ მეხუთე წრეში მარცხდება იუგოსლაველ იოზეფ ტერტერისთან და ფაქტობრივად ეთიშება საპრიზო ადგილისთვის ბრძოლას. საბოლოოდ VII ადგილი — ისე, რომ ხალიჩაზე არც გასულა. გურამის მეტოქემ — უნგრელმა ტამაშ გაშპარმა უარი თქვა შეხვედრაზე.

დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს გონივრულად გამოიყენოს ერის თვისებებისა და ღირსებების წარმოჩენის ისეთი ხელსაყრელი შესაძლებლობა, როგორიც ოლიმპიური თამაშებია. ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნები კი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ჟინით ცდილობენ თავის გამოჩენას.

ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ XXIV ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანას მოწინავე სპორტულ სახელმწიფოებს შორის არ მოიხსენიებდნენ. მას შემდეგ, რაც იქ აზიური თამაშები ჩატარდა, კორეა ამ კონტინენტის მეორე სპორტული სახელმწიფო გახდა. მეორე ადგილი 27 ქვეყნის 4800 წარმომადგენელთან ასპარეზობაში დიდ წარმატებად იქნა მიჩნეული. ახლა კი — მეოთხე ადგილი — ოქროს მედლების რაოდენობით (11) ოლიმპიადის მონაწილე 160 სახელმწიფოს გუნდებს შორის! ინდოეთმა, აზიის ერთ-ერთმა დიდმა სახელმწიფომ (800 მილიონი მცხოვრები), სეულის ოლიმპიადაზე ერთი ბრინჯაოს მედალიც ვერ მოიპოვა (აქვე შედარებისთვის ერთხელ კიდევ შეიძლება გავიხსენოთ სეულში საქართველოს წარგზავნილთა მიერ მოპოვებული 12 მედალი). სულ სამხრეთკორეელებმა 33 უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს. ასეთი წარმატებისთვის, სპორტის სფეროში ტრადიციულად ძლიერი სახელმწიფოების გარდა, ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანას იშვიათად თუ მიუღწევია. მაგრამ ამ შედეგებში, როგორც უკვე ვწერდით, მსაჯების „ხელიც" ურევია. ის, რაც სიხარულს ჰგვრიდა მასპინძლებს, განგაშს იწვევდა სტუმრებში. ასეთი მიკერძოებითი ოლიმპიური ჩემპიონობა, როგორც უმაღლესი სპორტული მიღწევა, შეიძლება დევალვაციამდე მივიდეს. აი, რა იყო საგანგაშო. სამარანჩმა ვერ უარყო სპორტის ზოგიერთ სახეობაში არაობიექტური მსაჯობის ფაქტები. რაც შეეხება კრივს, სოკ-ის პრეზიდენტმა მოსაზრება გამოთქვა, რომ მომავალში შეიძლება ეს სახეობა საერთოდ ამოვიღოთ პროგრამიდანო. ცხადია, სამარანჩს მიზეზად კრივში ყველაზე მეტად შესამჩნევი არაობიექტური მსაჯობა არ დაუსახელებია, უფრო სისასტიკეს გაუსვა ხაზი. მაგრამ, თუ პრეზიდენტი სინამდვილეში მაინც არბიტრთა არაკეთილსინდისიერებას გულისხმობდა, მაშინ ახლა უთუოდ სხვაგვარად შეაფასებს ჩანაფიქრს. სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბა) გენერალურმა მდივანმა კარლ-ჰაინც ვერმა ამას წინათ განაცხადა, რომ უკვე მოსკოვში, მოკრივეთა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე, გამოიყენებენ საგანგებო მანქანას, რომელიც უშეცდომოდ აღნუსხავს ქულებს და... მსაჯის შეცდომებსაც.

ისევ სპორტულ კორეას დავუბრუნდეთ. ქვეყანაში მთელ ამ მოძრაობას სათავეში უდგას სამოყვარულო სპორტის ასოციაცია ([illegible]სა). სეულში მოპოვებული ესოდენ მაღალი შედეგები სწორედ ამ ასოციაციისა და მასში შემავალი ორგანიზაციების დიდი დამსახურებაა. მსოფლიოს პირველმა სახელმწიფომ ისევე არაფერი იცოდა სამხრეთ კორეის სპორტზე, როგორც თვით ამ ქვეყნის ცხოვრებაზე. ჩვენც ამ „გაუთვითცნობიერებულთა" შორის ვიყავით. მასპინძლები, როგორც ეს უკვე სეულში შევიტყვეთ, მთელი ოთხი წლის მანძილზე უდიდესი მონდომებით ემზადებოდნენ მომავალი ასპარეზობისთვის.

სეულის შემოგარენში კორეელი ოლიმპიელებისთვის შესანიშნავი საწვრთნელი ბაზა ააშენეს. ოლიმპიადის დღეებში მასპინძელთა სპორტული დელეგაცია მოწყვეტილი იყო გარესამყაროს. მათთან, როგორც იტყვიან, ჩიტი ვერ შეფრინდებოდა. რატომ? ძნელი ასახსნელია. ერთი კია, ამ ხალხს ბევრ სიკეთესთან ერთად, მოთმინების დიდი უნარიც აქვს და მორჩილებისაც — ისევ და ისევ თავისი საქმის სასარგებლოდ. მოთმინება-მორჩილება უდევს პრინციპად ქვეყნის სპორტულ ცენტრებს, სადაც მოთხოვნები სპარტანულ აღზრდასთანაა მიახლოებული. მოზარდი, რომელიც ამ მოთხოვნებს ვერ უძლებს, ტოვებს ცენტრს, მისთვის სამუდამოდ იკარგება დიდი სპორტისკენ მიმავალი გზა.

კორეის სამოყვარულო სპორტის ასოციაციაში სპორტის ზოგიერთი სახეობა ეროვნული ასოციაციითაა წარმოდგენილი, ზოგიერთი ფედერაციებით ან კავშირებით, უმეტესი სპორტის სახეობები კი კორეის სპორტული ასოციაციით. ოლიმპიადაზე მასპინძლებმა საჩვენებელ სახეობად წარმოადგინეს ტხეკვანდო. სპორტის ეს სახეობა კორეაში იშვა, როგორც სამხედრო თავდაცვითი საშუალება და შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებში. კორეელები ამაყობენ ამით. ძიუდოს მსგავსად შეიტანენ თუ არა მომავალი თამაშების პროგრამებში ტხეკვანდოს, ეს მომავლის საქმეა. აზიური თამაშების პროგრამაში კი იგი შევიდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი სახეობა. ცნობისთვის ვიტყვით, რომ ტხეკვანდოს ახლა მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში ჰყავს მიმდევრები. ოლიმპიადაზე, ასე ვთქვათ, „ჭაშნიკი" მოუსინჯეს აგრეთვე ბეისბოლსა და ქალთა ძიუდოს.

XXIV ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქვეყანაზე ყურადღება შემთხვევით არ გაგვიმახვილებია. მაღალი ჯილდოებისთვის ბრძოლაში მოწინავე სპორტულ სახელმწიფოებს, ისევე როგორც სეულში სამხრეთკორეელები, ბარსელონაში ესპანელებიც შეეცილებიან. დიდი მონდომების შედეგად, როგორც ვნახეთ, ტრადიციულად არასპორტული ქვეყნებიც კი თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. ესპანელები კარგა ხანია გულმოდგინედ ემზადებიან თამაშებისთვის და საკმაო რაოდენობის მაღალ ჯილდოებსაც უმიზნებენ. მათ უკვე მიიწვიეს სამუშაოდ ცნობილი მწვრთნელები სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან. ვნახოთ, რა სიურპრიზს შემოგვთავაზებენ XXV ოლიმპიადის მასპინძლები. მანამდე კი... დავიხსომოთ: ესპანელები სეულში 25-ე ადგილზე გავიდნენ. მოიპოვეს ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

**თენგიზ ბაჩილაძე,**
**„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.**

სეული — თბილისი.

ავტორის ფოტოები.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 198, 199, 200, 201, 203, 204, 207, 209, 211.

# მიძინებულები გამოაფხიზლეს

## მაგალითს იძლევა ცხაკაიას რაიალმასკომი

**გაზაფხულზე**, სპორტული მოედნების დათვალიერების ერთთვიურის განმავლობაში, ცხაკაიაში და ცხაკაიას რაიონში საკმაოდ გაისარჯნენ. კერძოდ, ქალაქში მოეწყო ორი მარტივი ტიპის მოედანი. ბევრ სოფელში მოწესრიგდა სპორტული ბაზები. საქმე მხოლოდ ამით არ ამოწურულა — ცხაკაიის პარტრაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა კრივის დარბაზისა და საცურაო აუზის აშენება. სამწუხაროდ, შრომით კოლექტივებში ყველგან ერთნაირად როდი იჩენენ დაინტერესებას სპორტული ბაზებისადმი. სწორედ ამიტომ პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი ერთხელ კიდევ მიუბრუნდა ამ საკითხს. შედეგები განიხილეს რაიაღმასკომის სხდომაზე.

უპასუხისმგებლობისათვის გააკრიტიკეს მექანიკური ქარხნის, ჩაის ფაბრიკის, №6 სპეციალიზებული მოძრავ-მექანიზებული კოლონის, მე-11 საგზაო-საწარმოო უბნის, სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატის, ხორშის „გამარჯვების", უშაფათის ორჯონიკიძის, ფოცხოს სტალინის, ეკის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობების, ახალი სენაკის დაფნის, კოტიანეთის მევენახეობის, ძველი სენაკის მეღორეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა. № 6 სპეციალიზებული მოძრავ-მექანიზებული კოლონის მარტივი ტიპის მოედანი არ შეესაბამება სტანდარტებს, არც შემოღობილია, არც დახაზული, არა აქვთ სპორტული ინვენტარი. მეტიც, ამ საქმისათვის 1987-88 წლებში მანეთი არ დაუხარჯავთ. როგორც გამოირკვა, საერთოდ არა აქვთ გამოყოფილი თანხები ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად და ინვენტარის შესაძენად. ანალოგიური მდგომარეობაა № 11 საგზაო-საწარმოო უბანშიც, სადაც ორი წელია საერთოდ არავის მიუხედავს სპორტული მოედნებისთვის. ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების" ფეხბურთის მინდორი არ არის შემოღობილი და დახაზული, სარბიელს სარეველა ბალახი მოსდებია, შეუღებავია ძელები, არ არის ათვისებული სპორტული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხა. ეკის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაშიც იგივე მდგომარეობაა, ოღონდ იქ 1987-88 წლებში სპორტული ღონისძიებებისთვის 6 ათასი მანეთი აქვთ დახარჯული. ახალი სენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობაში სტანდარტებს არ შეესაბამება ფრენბურთის მოედნის ზომები, შეუღებავია ფეხბურთის ძელები, მინდორი სარეველა ბალახითაა დაფარული. სრული უწესრიგობაა კოტიანეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტულ მოედანზე, ძველი სენაკის მეღორეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობებისა და ნოქალაქევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ნიაღვრისაგან დანგრეული მოედნების აღდგენის და შეკეთების სამუშაოები ჯერ არ არის დაწყებული.

დაისახა ქმედითი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს" საკ. კორ.**

**რედაქციისაგან:** მაშ ასე, პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ხერხიანად დაინტერესდა შრომით კოლექტივებში სპორტული ბაზების საკითხით. ასეთი მომთხოვნელობა, ვიმედოვნებთ, უდავოდ შეუწყობს ხელს მდგომარეობის გაუმჯობესებას. იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოჰყვა საკითხის განხილვას, ინფორმაციას წლის ბოლოს რაისაბჭოს აღმასკომიდან ველით.

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**თბილისის** დინამოელებმა ჩემპიონატის ბოლო მატჩი ჩაატარეს თავიანთ მინდორზე, მათი მეტოქე იყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ჩემპიონობის სავარაუდო კანდიდატი მოსკოვის „ტორპედო“, მაგრამ თამაშს ძლიერი წვიმა დაესწრო, ამან, რა თქმა უნდა, საგრძნობლად გააუფერულა მისი სანახაობრივი მხარე.

**„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:1 (0:1).**

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 3 ნოემბერი.**

**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, ხვანაძე, ცვეიბა (გურული, 74), ცაავა (ქეცბაია, 46), ფანცულაია, ჯოგიჩაიშვილი.**

**„ტორპედო“: ხარიჩევი, პოლუკაროვი, გრიშინი, პრიგოდა, როგოვსკი, გრეჩნევი, ი. სავიჩევი, გიცელოვი (კოვაში, 73), ნ. სავიჩევი, შირინბეკოვი, აგაშკოვი.**

**მსაჯი ვ. ჟუკი (მინსკი).**

**გააფრთხილეს ი. სავიჩევი, რევიშვილი. მინდვრიდან გააძევეს გურული და პოლუკაროვი.**

მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი მუდამ დიდი სიმპათიებით სარგებლობდა თბილისელ გულშემატკივართა შორის, მისი ძველი თუ ახალი დროის ოსტატები პოპულარულნი არიან ჩვენში. ამიტომაც ტორპედოელთა წლევანდელი წარმატებაც მისასალმებელია. დინამოელებს შესაძლებლობა ჰქონდათ კარგად ჩაეტარებინათ მატჩი და ამით ჩემპიონატში უკეთესი ადგილის დაკავების გარანტიაც შეექმნათ, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, გუნდმა ამ ღლეს ეს ამოცანა ვერ შეასრულა. ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში „დინამოს“ თითქმის ყველა რგოლის მოთამაშეები სისტემატურ შეცდომებს უშვებდნენ. თამაშობდნენ შენელებულ ტემპში, შეჯგუფებულად. ეტყობა, გუნდს ძალა შესწევდა მხოლოდ ის ამოცანა შეესრულებინა, რომელიც უმაღლეს ლიგაში დარჩენას გულისხმობს. როცა საქმე მიდგა ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაზე, დინამოელთა შორის კვლავ იჩინა თავი ძველმა რეციდივებმა. ყოველ შემთხვევაში, ეს ნათლად ჩანდა საკუთარ მინდორზე ჩატარებულ მატჩებში ლენინგრადის „ზენიტთანაც“ და მოსკოვის „ტორპედოსთანაც“.

ტექნიკური და საერთო გუნდური ტაქტიკით თბილისის „დინამომ“ ამ ორ მატჩში აშკარად დათმო პოზიციები. ნამდვილად მაღალი კლასის გუნდის შექმნის საქმე, ეტყობა, გაისისთვის უნდა გადავდოთ.

მართალია, ცალკეულ მომენტებში, საკმაოდ ხშირადაც, თბილისელები სძლევდნენ მეტოქეს და სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ მის კართან, მაგრამ უფრო ხშირად ისინი ტორპედოელებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდნენ. ვერაფრით ვერ მოხერხდა „ტორპედოს“ ყველაზე ძლიერი თავდამსხმელის ი. სავიჩევის ნეიტრალიზება. მოსკოველებს ი. სავიჩევი შეტევის ავანგარდში ჰყავდათ, თავიანთ იერიშებსაც სწორედ მის მაღალ ინდივიდუალურ ოსტატობაზე ამყარებდნენ და მანაც პირნათლად გაამართლა გუნდის იმედი. მან მრავალი სახიფათო მომენტი შექმნა და ერთ-ერთი მათგანი 32-ე წუთზე ზუსტად გატანილი გოლითაც დაამთავრა.

ერთი სიტყვით, თბილისის „დინამომ“ საკუთარ თავში დარწმუნებულად, დამაჯერებლად ვერ ითამაშა და შინ ზედიზედ მეორე დამარცხება განიცადა, ჩემპიონატის დასასრულს კი მას ორი ძალზე ძნელი მატჩი აქვს დარჩენილი კიევსა და ხარკოვში.

**მაგრამ ამ დამარცხების გარდა კიდევ გვაქვს სასაყვედურო თბილისის „დინამოს“ იმ მოთამაშეთა მიმართ, რომლებიც არ ერიდებიან მინდორზე წესრიგის დარღვევას და საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ჩადენილი უდისციპლინობით იჩენენ თავს. ზუსტად იმ დღეს, როცა თბილისის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „ტორპედო“, გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა უმაღლესი ლიგის გუნდების დარღვევათა საჯარიმო სია, სადაც თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ალმა-ათის „კაირატთან“ ერთად. თბილისელთაგან წლევანდელ ჩემპიონატში მინდვრიდან გააძევეს 2 ფეხბურთელი, 28 მოთამაშემ ყვითელი ბარათი დაიმსახურა, ახლა კი ამ სამწუხარო სიას მიემატა კიდევ ერთი ყვითელი ბარათი და მინდვრიდან გაძევება. ახლა ჩვენ უმაღლეს ლიგაში ყველაზე უწესრიგო და უდისციპლინო გუნდად ვითვლებით!**

**ეს ფრიად სავალალო ფაქტია. ქართველი ფეხბურთელები მუდამ ცნობილი იყვნენ მაღალი ოსტატობით, ვირტუოზული ტექნიკით, უხეშად ისინი კი არ თამაშობდნენ, პირიქით — მათ ეთამაშებოდნენ, ახლა კი ამდენი დარღვევა უმაღლეს ლიგაში არავისა აქვს. გასაკიცხია გ. გურულის საქციელი, რომელმაც მინდორზე მუშტი-კრივი გამართა, მეორე ტაიმში, ჩხუბში ორივე გუნდის სხვა მოთამაშეებიც ჩაებნენ. გ. გურულს ა. პოლუკაროვმაც მიჰბაძა და ვ. ჟუკი იძულებული იყო ორივე ფეხბურთელი მინდვრიდან გაეძევებინა.**

**ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობა გადაჭრით იბრძვის დისციპლინის დასამყარებლად და ნურავის ჰგონია, რომ მინდორზე წესრიგი მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეებს ეხება. თბილისის „დინამო“ ქართული ფეხბურთის ფლაგმანია, იგი საუკეთესო უნდა იყოს ღირსეული მოქცევითაც.**

### „ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება.

**3 ნოემბერს** ვილნიუსში გაიმართა ფეხბურთში უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩი ადგილობრივ „ჟალგირისსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის. ანგარიშით 2:0 თამაში მოიგეს ვილნიუსელმა ფეხბურთელებმა.

გუშინ გაიმართა ტურის სხვა შეხვედრებიც:

**„დინამო“ კ. — „დინამო“ მ. 2:1**
**„კაირატი“ — „ნეფთჩი“ 2:1**
**„ზენიტი“ — „შახტიორი“ 0:0**
**„არარატი“ — „მეტალისტი“ 2:0**

## დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის.

თამაში დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 4:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: თეთრაძემ, თევზაძემ-2 და ყიზილაშვილმა.

# სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

**გრძელდება** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. 2-3 ნოემბერს გაიმართა მორიგი შეხვედრები.

**კაუნასი.** ადგილობრივმა „ჟალგირისმა“, რომელიც ვილნიუსის „სტატიბას“ შეხვდა, ორი გამარჯვება მოიპოვა, პირველი ანგარიშით 103:94 (54:61), მეორე — 95:85.

**ლენინგრადი.** „სპარტაკმა“ ვერაფერი გააწყო შინ რიგის ვეფ-თან და პირველ შეხვედრაში დამარცხდა — 78:99.

**ალმა-ათა.** არმიელმა კალათბურთელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს მინსკის რტი-სთან — 109:100. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გუშინ შედგა.

**კიევი.** „სტროიტელმა“ პირველი მატჩი მოუგო ტალინის „კალევს“ 100:78.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 4 ნოემბრისთვის**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (ალმა-ათა) | 9 | 5 | 4 | 898-870 | 14 |
| „სტროიტ.“ (კ.) | 7 | 6 | 1 | 658-610 | 13 |
| „კალევი“ (ტალ.) | 9 | 4 | 5 | 747-777 | 13 |
| ცსკა | 6 | 6 | 0 | 612-491 | 12 |
| „დინ.“ (მოსკ.) | 8 | 4 | 4 | 802-783 | 12 |
| „სტატიბა“ (ვილ.) | 8 | 3 | 5 | 762-717 | 11 |
| „ჟალგ.“ (კაუნ.) | 6 | 5 | 1 | 608-567 | 11 |
| რტი (მინსკი) | 7 | 4 | 3 | 614-608 | 11 |
| „სპარტ.“ (ლენ.) | 7 | 3 | 4 | 555-613 | 10 |
| ვეფ (რიგა) | 7 | 2 | 5 | 619-691 | 9 |
| „დინ.“ (თბ.) | 6 | 1 | 5 | 526-588 | 7 |
| „შახტ.“ (დონ.) | 6 | 0 | 6 | 485-571 | 6 |

## საერთაშორისო ჩოგბურთის სიახლენი

**უორჩესტერი** (აშშ). მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ტურნირზე თბილისელი ლეილა მესხი შეხვდა ერთ-ერთ ფავორიტს ამერიკელ პემ შრაივერს და დამარცხდა — 1:6, 2:6. მინსკელმა ნატალია ზვერევამ კი პოლონელ ივონა კუშინსკაიას აჯობა — 6:4, 6:3. გათამაშების მომდევნო წრეში ზვერევას გარდა გავიდნენ: კრის ევერტი (აშშ), გაბრიელა საბატინი (არგენტინა), ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია).

**ანტვერპენი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მერვედფინალში მან შვეიცარიელი კლაუდიო მეზარდი დაამარცხა — 6:4, 6:2.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, 43-ე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 23 ოქტომბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** გაიყიდა 1568157 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ვარიანტი), მოგება 2788 მანეთია, ოთხისთვის (1195) — 59, სამისთვის (25841) — 4.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 16308659 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (28 ვარიანტი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4701) — 172, სამისთვის (193548) — 7.

# ფეხბურთი

## I ლიგა

**დასასრულს** მიუახლოვდა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება. დღეს ბოლო ტურია, მისი შედეგები გაარკვევენ ლიგის გამარჯვებულებსაც და მათაც, ვისაც უფრო დაბლა, მეორე ლიგაში მოუწევთ გადანაცვლება.

ჩვენი ლანჩხუთელი კორესპონდენტი **ავთანდილ ორმოცაძე** მოსკოვში დაესწრო არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდისა და ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრას. მან ტელეფონით გადმოგვცა შემდეგი:

**ცსკა — „გურია“ (ლანჩხუთი) 5:2 (3:1)**

**მოსკოვი. ცსკა-ს მძლეოსნურ-საფეხბურთო დახურული კომპლექსი. 2 ნოემბერი.**

**ცსკა: შიშკინი, კუზნეცოვი, მალიუკოვი, კოლოტოვკინი (მოხი), გალიამინი, გლუშაკოვი, კორნეევი, ბროშინი, კოლესნიკოვი (ბისტროვი), ტატარჩუკი (კუხლევსკი), მასალიტინი.**

**„გურია“: ქანთარია, ტყებუჩავა, ანდღულაძე (კაბისაშვილი), ბონდარუკი, პარხომენკო, ცომაია, ჟორდანია, ხლუსი, გოგრიჭიანი, ფრიდონაშვილი, მესხი (ივორსკი).**

**მსაჯი პ. კობიჩიკი (ჩერნოვცი).**

**გააფრთხილეს ჟორდანია.**

ეს იყო ლიგის მეტად მნიშვნელოვანი თამაში, მეტოქეები იბრძოდნენ უმაღლეს ლიგაში გადასვლის უფლებისთვის და მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია იმის თქმა, რომ სწორედ აქ მოუწია ლანჩხუთის „გურიას“ დახურული დარბაზის ხელოვნურსაფარიან მინდორზე თამაში. კვლავ და კვლავ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ დახურული დარბაზის ფეხბურთი დიდად განსხვავდება ნამდვილი ფეხბურთისგან, ამაზე ბევრს ლაპარაკობენ ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც, მსაჯებიც, ჟურნალისტებიც. მაყურებელი ნამდვილი ფეხბურთის ნაცვლად რაღაც მინიფეხბურთის მსგავს თამაშს უყურებს სინთეტიკით დაფარულ მინდორზე. სპეციალისტთა სამართლიანი პრეტენზიები ჯერჯერობით გაზეთის ფურცლებს არ სცილდება. შეჯიბრებათა ორგანიზატორები ფეხბურთელებს კვლავ დარბაზებში მიერეკებიან.

სპეციალისტთა უკმაყოფილების დამადასტურებელ საბუთად თუნდაც ის კმარა, რომ მსოფლიო პირველობა დახურული დარბაზებისთვის ვანცალკევებით ჩატარდება ჰოლანდიაში, ჩვეულებრივ ფეხბურთთან მას საქმე არა აქვს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი დახურულ დარბაზში ტარდება „ხუთი-ხუთზე“ და არა სრული საფეხბურთო გუნდების შემადგენლობით. ეს სულ სხვა სპეციფიკაა.

რა თქმა უნდა, მოსკოვის არმიელები უფრო შეჩვეული არიან თავიანთ გადახურულ მიდორზე თამაშს, ვიდრე ლანჩხუთელები და ეს ამბავი აშკარად იგრძნობოდა მატჩის პირველივე წუთებიდან. გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ მოყვანილია „გურიის“ მთავარი მწვრთნელის მ. ფომენკოს სიტყვები: „ჩვენი გუნდისთვის მანეჟი ის გალია აღმოჩნდა, საიდანაც თავის ხსნა ყოვლად შეუძლებელი იყო“. არ შეიძლება არ დაეთანხმო მ. ფომენკოს ამ სიტყვებს.

მაგრამ, მაინც, ყველაფერს დარბაზს ნუ დავაბრალებთ. „გურიამ“ ამ დღეს თავის შესაძლებლობაზე აშკარად სუსტად ითამაშა, განსაკუთრებით შესამჩნევი იყო შეცდომები დაცვის ცენტრში, სწორედ ამ ლაფსუსების შედეგები იყო ის, რომ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოსკოველთა თავდამსხმელმა კორნეევმა 3 ბურთი გაიტანა „გურიის“ კარში, რასაც სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ჟორდანია).

შესვენების შემდეგ მასალიტინმა ანგარიში 4:1-მდე აიყვანა, გოგრიჭიანმა კიდევ ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ იმავე მასალიტინმა 69-ე წუთზე წერტილი დაუსვა შეხვედრის ანგარიშს — 5:2.

მატჩის შედეგი მთლად ზუსტად ვერ ასახავს ძალთა შეფარდებას მინდორზე. მასპინძლებს დიდი უპირატესობა არ ჰქონიათ, ლანჩხუთელი ფეხბურთელებიც საკმარისად უტევდნენ, მაგრამ, როგორც ვთქვით, ცენტრალურ მცველთა უხეშმა შეცდომებმა ცსკა-ს იოლად გაუხსნა გზა გამარჯვებისკენ.

ამ ტურში ბათუმის დინამოელებმა სუსტად ითამაშეს კემეროვოში „კუზბასთან“ და წააგეს ანგარიშით 0:4.

უმაღლესი ლიგის მეორე საგზურისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვოლგოგრადის „როტორისა“ და ტაშკენტის „ფახთაქორის“ შეხვედრას ვოლგოგრადში. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 3:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დაუგავა“ (რიგა) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:2, ასკ (დონის როსტოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 3:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 3:0.

დღეს ლიგის ბოლოს ტურის შეხვედრებია. ბათუმის დინამოელები მოსკოვში შეხვდებიან ცსკა-ს, ხოლო კემეროვოს „კუზბასი“ მიიღებს ლანჩხუთის „გურიას“.

სწორედ დღეს გადაწყდება უმაღლესი ლიგის მეორე საგზურის ბედი. ვოლგოგრადის „როტორი“ შინ ღებულობს დუშანბეს „პამირს“. ვოლგოგრადელთათვის ფრეც საკმარისია და ამ შემთხვევაში მათ ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნება ცსკა-სთან ერთად (თუ, რასაკვირველია, ამ უკანასკნელმა მოუგო ბათუმის „დინამოს“), მოგებათა მეტი რაოდენობით კი „როტორი“ მეტოქეზე წინ იმყოფება.

არის სხვა ვარიანტიც: თუ „როტორი“ და ცსკა დამარცხდებიან, ხოლო „გურია“ გაიმარჯვებს, „გურია“ და „როტორი“ ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ, გამარჯვებათა რაოდენობაც მათ ერთნაირი ექნებათ, მაგრამ „გურიას“ როტორთან უშუალო შეხვედრებში უკეთესი შედეგი აქვს (3 ქულა ერთის წინააღმდეგ) და მაშინ უმაღლესი ლიგის მეორე საგზური, „პამირის“ შემდეგ „გურიას“ ერგება.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 5 ნოემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი“ | 41 | 24 | 10 | 7 | 76-41 | 58 |
| „როტორი“ | 41 | 24 | 7 | 10 | 73-35 | 55 |
| ცსკა | 41 | 22 | 10 | 9 | 64-35 | 54 |
| „გურია“ | 41 | 23 | 7 | 11 | 71-40 | 53 |
| „ფახთაქ.“ | 41 | 21 | 10 | 10 | 63-36 | 52 |
| „დინ.“ სტ. | 41 | 18 | 11 | 12 | 58-44 | 47 |
| „დაუგავა“ | 41 | 18 | 6 | 17 | 54-52 | 42 |
| ასკ „კარპ.“ | 41 | 17 | 8 | 16 | 49-38 | 42 |
| ასკ რ. | 41 | 15 | 10 | 16 | 55-63 | 40 |
| „როსტსელ.“ | 41 | 15 | 8 | 18 | 57-66 | 38 |
| „შინიკი“ | 41 | 15 | 8 | 18 | 47-48 | 38 |
| „ტავრია“ | 41 | 13 | 14 | 14 | 34-42 | 38 |
| „გეოლოგი“ | 41 | 16 | 5 | 20 | 44-57 | 37 |
| „სპარტაკი“ | 41 | 14 | 9 | 18 | 53-59 | 37 |
| „დინ.“ ბ. | 41 | 15 | 6 | 20 | 40-48 | 36 |
| „კუზბასი“ | 41 | 12 | 14 | 15 | 34-39 | 36 |
| „მეტალურ.“ | 41 | 12 | 13 | 16 | 29-41 | 36 |
| „კოტაიკი“ | 41 | 14 | 7 | 20 | 54-81 | 35 |
| „ყუბანი“ | 41 | 12 | 10 | 19 | 39-54 | 34 |
| „ზარია“ | 41 | 11 | 10 | 20 | 43-55 | 32 |
| „ზვეზდა“ | 41 | 9 | 12 | 20 | 35-69 | 30 |
| „კოლოსი“ | 41 | 10 | 7 | 24 | 31-60 | 27 |



## მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

**გაუშინწინ** ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი ევროპის ზონაში.

### I ჯგუფი

დანიელმა ფეხბურთელებმა კოპენჰაგენში მიიღეს ბულგარეთის გუნდი და ფრედ დაამთავრეს თამაში — 1:1.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 4 |
| დანია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

### III ჯგუფი

თურქეთის ფეხბურთელებმა ვენაში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ავსტრიის გუნდს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ ანგარიშით 2:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| გდრ | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 2 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 2 |
| ისლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| თურქეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |

ჩვენს შესარჩევ ჯგუფში წლეულს გაიმართება კიდევ ერთი მატჩი: თურქეთის ფეხბურთელები 30 ნოემბერს შინ მიიღებენ გდრ-ის ნაკრებს.

### ჩერნაი კვლავ მოგზაურობს

ცნობილი უნგრელი სპეციალისტი პალ ჩერნაი (ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი) დანიშნულია ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბ „აინტრაჰტის“ (მაინის ფრანკფურტი) მთავარ მწვრთნელად. ამ პოსტზე მან კარლ-ჰაინც ფელდკამპი შეცვალა, რომლის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს.

სხვადასხვა დროს პალ ჩერნაი სათავეში ედგა მიუნხენის „ბაიერნს“, სალონიკის პაოკ-ს, ლისაბონის „ბენფიკას“, სტამბოლის „ფენერბახჩესა“ და კიდევ რამდენიმე ცნობილ კლუბს.

**რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე**

**უურადღება!**

**თბილისის** სახელმწიფო იპოდრომზე მოსკოვის საცხენოსნო სპორტულ თეატრ „კასკადიორის“ სპექტაკლები 5 ნოემბერს არ ჩატარდება ტექნიკური მიზეზების გამო. სპექტაკლები განახლდება 6 ნოემბრიდან და გაგრძელდება 16 ნოემბრის ჩათვლით ყოველდღიურად. დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე. დასვენებისა და მოსწავლეთა არდადეგების დღეებში გაიმართება ორი წარმოდგენა 13 საათსა და 17 საათზე.

უამინდობის გამო არშემდგარი წარმოდგენის ბილეთებით შეიძლება ისარგებლოთ 16 ნოემბრის ჩათვლით ნებისმიერ დღეს.

**იპოდრომის დირექცია.**

ინდექსი 86485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05585